



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

სადისციპლინო კომისიის სხდომა გაიმართა 2022 წლის 14 მარტს, სრკ-ს ოფისში (თბილისი, ქ. ამირეჯიბის #6)

სადისციპლინო კომისია:

მირიან თავზარაშვილი - სხდომის თავმჯდომარე;

ირალი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე - კომისიის წევრები;

სხომაზე დამსწრე პირები:

ნიკა ამაშუკელი - სრკ-ს მსაჯი;

მარიამ გოგუაძე - სრკ-ს მატჩის მეთვალყურე;

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2022 წლის 11 მარტს „დიდი 10“-ს XIII ტურის მატჩი რუსთავის „ხარები“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის ჩაიშალა.
2. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის განყოფილების უფროსის ნიაზ მამრიკიშვილის მომართვა (14/03/2022).

სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის განყოფილების უფროსის ნიაზ მამრიკიშვილის მომართვის (14/03/2022) მიხედვით - 2022 წლის 11 მარტს ქ.რუსთავში უნდა გამართულიყო „დიდი 10“-ს XIII ტურის მატჩი ადგილობრივ „ხარები“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის. აღნიშნული მატჩი არ შედგა.

სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის განყოფილების უფროსი ნიაზ მამრიკიშვილმა მომართა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს თხოვნით, დადგინდეს მატჩის არ გამართვის მიზეზები და რა გარემოებების გამო ვერ უზრუნველყო მასპინძელმა გუნდმა, რუსთავის „ხარებმა“, მასზე სრკ-ს საშეჯიბრო დებულებით დაკისრებული ვალდებულება. კერძოდ, საშეჯიბრო დებულების 30-ე პუნქტის I ქვეპუნქტი - მასპინძელი გუნდი ვალდებულია უზრუნველყოს სათამაშო მოედანის მზადყოფნა დახაზვით, აღმებით და ა.შ.

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, ზემოაღნიშნულ მატჩზე სრკ-ს მიერ დანიშნულმა მსაჯმა ნიკა ამაშუკელმა, განაცხადა რომ, თამაშის დაწყებამდე 1სთ. და 45 წუთით ადრე, მივიდა მატჩის გასამართ სტადიონზე ქ.რუსთავში. მისი განცხადებით, მიუხედავად მასპინძელი



გუნდის მიერ სათამაშო მოედნის გასუფთავების მცდელობისა, ინტენსიური თოვის გამო, ვერ ხერხდებოდა მოედნის თოვლისგან გაწმენდა, რადგან თოვა იმდენად ინტენსიური იყო რომ, სათამაშო მოედნის ხაზების გაწმენდიდან რამოდენიმე წუთში, კვლავ იფარებოდა თოვლით (ნიკა ამაშუკელმა სადისციპლინო კომისიას წარუდგინა ამ ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა). შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მან მატჩის მეთვალყურის და ორივე გუნდის წარმომადგენლის თანხმობის შემდეგ, მიიღო თამაშის არ ჩატარების გადაწყვეტილება.

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, ზემოაღნიშნულ მატჩზე სრკ-ს მიერ დანიშნულმა მატჩის მეთვალყურემ მარიამ გოგუაძემ, განაცხადა რომ, თამაშის დაწყებამდე 1სთ. და 40 წუთით ადრე მივიდა მატჩის გასამართ სტადიონზე ქ.რუსთავში. მიუხედავად მასპინძელი გუნდის მიერ სათამაშო მოედნის გასუფთავების მცდელობისა, ინტენსიური თოვის გამო, ვერ ხერხდებოდა მოედნის თოვლისგან გაწმენდა, რადგან თოვა იმდენად ინტენსიური იყო რომ, სათამაშო მოედნის ხაზების გაწმენდიდან რამოდენიმე წუთში, კვლავ იფარებოდა თოვლით (მარიამ გოგუაძემ სადისციპლინო კომისიას წარუდგინა ამ ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა). შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მატჩის მსაჯმა, მისი და ორივე გუნდის წარმომადგენლის თანხმობის შემდეგ, მიიღო თამაშის არ ჩატარების გადაწყვეტილება.

სადისციპლინო კომისიამ განიხილა მიმდინარე წლის 11 მარტს გასამართი მატჩის დღეს, სათამაშო მოედანზე არსებული ფაქტობრივი გარემოება, ასევე მხედველობაში მიიღო მატჩის ოფიციალურ პირთა განმარტებები, მოწოდებული ვიდეომასალა და მიიღო

გადაწყვეტილება

1. მ/წლის 11 მარტს გასამართი მატჩის დღეს, სათამაშო მოედანზე არსებული ფაქტობრივი გარემოება, ჩაითვალოს - ფორს მაჟორულ სიტუაციად.
2. მატჩის ოფიციალური პირთა გადაწყვეტილება, მატჩის არ ჩატარების შესახებ, ჩაითვალოს მართებულიად.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	14/03/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.